

პროფესიონალი

№76

PROFESSIONALI



კერამიკრანითი უკვე ბათუმშია!

უკრაინული წარმოების კერამიკის ფირფიტები კედლებისა და იატაკისათვის!



www.kafeli.ge

ART-CERAMIC

მაღვია არტ-კერამიკი

ფერისა და დეკორის მდიდარი არჩევანი მოჭიქული, კრიალა იატაკი და მოზაიკა

ჩვენ მაღვიაში სადარბაზოების, სამზარეულოს, სააბაზანოსა და სხვა ნაგებობების სველი წერილები მოსაპირკეთებელ ფირფიტებს ალმოაჩენთ, რომელთა დახმარებით, თქვენი იატაკი ხის მასალის ფაქტურას შეიძენს და წლების მანძილზე არ გასვდება!

არუფეთ საკუთარ სახლს სილამაგე და მარადიულობა!



Gorgiladze 91 str.
6010 Batumi
GEORGIA

+995 555 60 22 89

art.ceramicsalon@gmail.com

შროაქსონბერაო

წარმატება მთავრობის თანადგომამ განაპირობა

საქართველოს მთავრობის თანადგომით, საქართველოს მთავრობის თანადგომით, საქართველოს მთავრობის თანადგომით...



შავი რაზმის მეთაურის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება...



პროექტული გეგმა, სამოქმედო გეგმა...

პროექტული გეგმა, სამოქმედო გეგმა...



ღირსშესაძლებელი ვარიანტი, მიგრაცია შედეგად

ღირსშესაძლებელი ვარიანტი, მიგრაცია შედეგად...



დასრულებული პროექტების განხორციელება

დასრულებული პროექტების განხორციელება...



ამბროლაურგზა-7

ამბროლაურგზა-7...



განხორციელებული პროექტების განხორციელება

განხორციელებული პროექტების განხორციელება...



www.prof-news.com

მთ.რედაქტორი:
ელა ლუღაევი
სარედაქციო ყოლეგია
მისამართი:
თბილისი, ვ. ინგოროყვანს №6
ტელ.: 299-82-60

ქრნალი მოქმედებს თავისუფალი ჰრე-
სის ჰრინციპით. ავტორი თავად აგებს ჰა-
სუს მასალაში მოყვანილი ფაქტების სი-
ზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზი-
არებს ქრნალისტის ჰოზიციებს და ამავე
დროს, არ გამოხატავს, არცერთი ჰარ-
ტისა თუ ჰოლიტიური დაჯგუფების ინ-
ტერესებს.

E-mail: profesionali@mail.ru 25.11.2015-25.12.2015

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ქრნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა



პარლამენტის პლენარული სხდომა

2 016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტი სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა წარმოადგინა. მისი ინფორმაციით, ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი ითვალისწინებს 2016 წლის 1 ივლისიდან სახელმწიფო პენსიის ზრდას 180 ლარამდე, დამატებით სახსრებს დევენილთა განსახლებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. მისივე თქმით, 48 მლნ ლარის მოზღვიანება მოხდა მცირე მიწის ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების დაფინანსებ-

ბულ პირთა, დევენილთა და განსახლების სამინისტროსთვის - 85,0 მლნ ლარი;
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის - 90,0 მლნ ლარი, მათ შორის, 15 მლნ ლარი დამატებით იქნა მოზღვიანებული სპორტული ინფრასტრუქტურისა და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად;
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 42,1 მლნ ლარი;
ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება 90,0 მლნ ლარს შეადგენს.
მთავრობის სარეზერვო ფონდი 50 მლნ ლარით, ხოლო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 5 მლნ ლარით განისაზღვრა.
ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, ანაზღაურების ფონდი ძირითადად მიმდინარე დონეზე შენარჩუნებული: „2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, შრომის ანაზღაურების ფონდი 61,9 მილიონი ლარით არის გაზრდილი, რაც ორი ძირითადი მიზეზით არის გამოწვეული. პირველი -



ბის გასაგრძელებლად.
შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 555.0 მლნ ლარით განისაზღვრა. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები იქნება 7 980.0 მლნ ლარი, რაც 200 მლნ ლარით აღემატება 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის წინა ვერსიას.
მომავალი წლის გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 255.0 მლნ ლარით განისაზღვრა - მათ შორის საბიუჯეტო გრანტები 125.0 მლნ ლარი, ხოლო საინვესტიციო გრანტები 130.0 მლნ ლარი.
პარლამენტში წარდგენილი პროექტით, 10 145.0 მლნ ლარის ოდენობის ასიგნებები, მხარჯავი დანესებულებების მიხედვით, შემდეგნაირად არის გადანაწილებული:
ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 3 162.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 92 მლნ ლარით აღემატება 2016 წლის ბიუჯეტის წინა პროექტით სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნებების ოდენობას;
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 975,2 მლნ ლარი, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 321,4 მლნ ლარი, რაც 40 მლნ ლარით აღემატება პროექტის წინა ვერსიას;
თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 670,0 მლნ ლარი;
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის - 950,0 მლნ ლარი;
შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის - 595,0 მლნ ლარი;
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის - 100.0 მლნ ლარი;
სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის - 153,8 მლნ ლარი;
ენერგეტიკის სამინისტროსათვის - 135,0 მლნ ლარი;
ეკონომიკის სამინისტროსათვის - 95,0 მლნ ლარი;
საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის - 110,0 მლნ ლარი;
კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის - 97,0 მლნ ლარი;
იუსტიციის სამინისტროსთვის - 70,5 მლნ ლარი;
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილე-

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო“ აქამდე ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან ფინანსდებოდა, ხოლო 2016 წლიდან სრულად მოხდება მისი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. ეს არის 43 მილიონი ლარი. მოგეხსენებათ, მომავალ წელს არჩევნებია და 20 მილიონით იზრდება საარჩევნო კომისიების შრომის ანაზღაურება, კანონმდებლობის შესაბამისად. სხვა უწყებებში შრომის ანაზღაურების ფონდი ძირითადად შენარჩუნებულია მიმდინარე დონეზე. არსად არ არის ხელფასების ზრდა. რამდენიმე უწყებაში, მაგალითად, ფინანსთა სამინისტროში შემცირებულია ხელფასების მოცულობა“, - აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.
ნოდარ ხადურმა მაღალი თანამდებობის პირთა შრომის ანაზღაურებაზეც ისაუბრა: „მინისტრების ჯამური ანაზღაურება 2015 წლის 9 თვეში, 2012 წლის 9 თვესთან შედარებით, 20%-ით არის შემცირებული; მინისტრის მოადგილეების შრომის ანაზღაურება - 2012 წლის 9 თვესთან შედარებით, მიმდინარე წლის 9 თვეში შემცირებულია 10%-ით. მიხდა, ფინანსთა სამინისტროზეც მოგახსენოთ. ფინანსთა სამინისტროში, მინისტრის და მისი მოადგილეების შრომის ანაზღაურება 2012 წლის 9 თვესთან შედარებით, 2015 წლის 9 თვეში შემცირებულია 40 %-ით, ანუ თითქმის განახევრებულია“, - განაცხადა ნოდარ ხადურმა.
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ალექსანდრე ქანთარია დაინტერესდა, არის თუ არა გათვალისწინებული ბიუჯეტში ენის პალატის შესაქმნელად აუცილებელი სახსრები. მისი თქმით, ენის პალატის შექმნის აუცილებლობა „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის მიღებამ განაპირობა. ნოდარ ხადურის პასუხით, ბიუჯეტში უკვე დევს ეს თანხა, მაგრამ სარეზერვო ფონდიდან, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება თანხის დამატება, რომ ენის პალატამ მუშაობა დაიწყოს.
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის შეფასებით, ბიუჯეტის ბოლო ვარიანტში სრულადაა ასახული ყველა ის შენიშვნა, რაც კომიტეტმა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით ბიუჯეტის წინა ვერსიებთან დაკავშირებით გამოთქვა.

უმცირესობის წარმომადგენელმა, აკაკი ბობოხიძემ ფინანსთა მინისტრს მიმართა, მუნიციპალიტეტებში თანამშრომლების სამტატო განაკვეთის გარეშე, ხელშეკრულებებით აყვანის საკითხით დაინტერესდეს: „რაიონებში სახელმწიფო თანხები იფლანგება. უამრავი თანამშრომელი: დამხმარე პერსონალი, დამლაგებლები, მძღოლები, შტატიდან ამოყვანილი არიან და მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სწორედ იმიტომ, რომ მათ ხარჯზე სამტატო განაკვეთების შემცირება არ მოხდეს. ძალიან ბევრი ადამიანი, უბრალოდ, ხელშეკრულებით არის აყვანილი. მოქმედი კანონმდებლობით კი, სამტატო განაკვეთის გარეშე - ხელშეკრულებით აყვანა მხოლოდ დროებითი ამოცანების გადასაწყვეტად შეიძლება, ხოლო მძღოლები და მომსახურე პერსონალი შტატიდან განსაზღვრულ რაოდენობაში უნდა იყოს. არსად ეს დაცული არ არის“, - განაცხადა აკაკი ბობოხიძემ. ნოდარ ხადურის პასუხით, ამ საკითხის შესწავლა აუდიტის სამსახურის კომპეტენციაა და თუ აუდიტის სამსახური ჩათვლის საჭიროდ, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა შეისწავლონ, ფინანსთა მინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაერთვება ამ პროცესში.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, თედო ჯაფარიძე დაინტერესდა, რამდენად თავმარისია 110 მლნ. ლარი საგარეო საქმეთა მინისტროსთვის. ნოდარ ხადურის განცხადებით, შარშანდელთან შედარებით, აღნიშნული სტრუქტურის დაფინანსება იზრდება 20 მლნ. ლარით. ამავდროს ინყება დიპლომატების დაზღვევის განხორციელება.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ სხდომაზე აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სურვილია, გაიზარდოს იურიდიული დახმარების სამსახურის სამტატო ერთეული ხუთი ადამიანით:

„ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა ის სფერო, იმ ადამიანთა წრე, რომელთაც უფასო დახმარებას უწევს იურიდიული დახმარების სამსახური. გათვალისწინა ხელისუფლებამ და ამ სამსახურისთვის დაფინანსება გაიზარდა, რაც კარგი გადამწყვეტილებაა. იმედი მაქვს, მომავალ წელს კიდევ უფრო მოხერხდება, ამ მხრივ, სიტუაციის გაუმჯობესება. ჩვენი წინადადება შეეხება შემდეგს: იმ გაზრდილი 400 ათასიდან გთხოვთ, რომ ხუთი სამტატო ერთეულით გაიზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა და შესაბამისად, იმ 400 ათასიდან, 100 ათასი გადატანილ იქნას შრომითი ანაზღაურების მუხლში. მთლიანობაში აღნიშნული სამსახურის დაფინანსების რაოდენობა არ იცვლება, მაგრამ ეს საშუალებაა მისცემს იურიდიული დახმარების სამსახურს, უკეთ შეძლოს თავისი ფუნქციის შესრულება“, - მიმართა ვახტანგ ხმალაძემ ფინანსთა მინისტრს.

ბიუჯეტზე საუბრისას ნოდარ ხადურმა აღნიშნა, რომ საფრანგეთთან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მიზნით, თანხების მოძიებას ითვალისწინებს. „ორი დღის წინ ხელი მოვანერე ხელშეკრულებას, რომელიც დღეს მთავრობის სხდომაზე გავა და მომავალ კვირას პარლამენტს რატიფიცირებისთვის წარედგინება. ეს არის ფრანგულ მხარესთან ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს: თანხების მოძიებას, დაკრედიტირებას საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მიმართულებით“, - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

უმრავლესობის წარმომადგენელი, ელისო ჩაფიძე დოლართან მიმართებაში ლარის კურსით დაინტერესდა. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ის თავს შეიკავებს მომავალი წლისთვის გაცვლით კურსის პროგნოზისგან, თუმცა უცხოელ სპეციალისტებსა და მაკროეკონომისტებს, საკმაოდ საინტერესო პროგნოზები აქვთ: „საქართველოს ბანკის მიერ გამოართულ დონისძიებაზე ერთ-ერთი უცხოელი ექსპერტი იყო ჩამოსული. მომავალი წლისათვის ლარის გამყარებას ის დაახლოებით 10%-ით ელოდება“, - განაცხადა ნოდარ ხადურმა. მან ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, გიორგი ქადაგიძეს ლარის გაცვლით კურსთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო მადლობა გადაუხადა: „გავიმეორებ გიორგი ქადაგიძის სიტყვებს, რომ ლარის გაცვლით კურსთან

დაკავშირებით ბიუჯეტი იყო ნეიტრალური და ბიუჯეტს ზეგავლენა არ მოუხდენია. ეს დღეს ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რისთვისაც მას მადლობას ვუტყვი“, - აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, თამაზ მეჭიაურის განცხადებით, ფინანსთა მინისტრთან გათვალისწინა შენიშვნები, რომლებიც 2016 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით კომიტეტს ჰქონდა. მისი შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში 40 მილიონზე მეტი მობილიზებულ იქნა პენსიების გასაზრდელად. მისივე თქმით, ეს თანხები მოხმარდება მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა პენსიების გაზრდას: „რეგიონებში, ყველა შეხვედრაზე ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან იყო თხოვნა, გაგრძელებულიყო ხენა-თესვის უფასო პროგრამა, რაც ასევე გათვალისწინებულია. იზრდება სპორტის მინისტროს დაფინანსება 15 მილიონით, რომელიც მიმართული იქნება საერთაშორისო ღონისძიებებისთვის და ინფრასტრუქტურის მონანერსივლად“, - განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად ხდება დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემა, გამოინახა დამატებითი ხარჯები, რომ კიდევ მოხდეს დევნილების დაკმაყოფილება: „ჩვენ გვაქვს პირობა აღებული მთავრობიდან, რომ თუკი მომავალ წელიწადში მოხდება ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულება, შეიძლება პრიორიტეტებს მიღმა დარჩენილი სფეროები დაფინანსდეს. ამიტომ ჩვენი კომიტეტი მხარს დაუჭერს 2016 წლის ბიუჯეტის პროექტს“, - აღნიშნა თამაზ მეჭიაურმა.

უმცირესობის წევრმა, ეკა ხერხეულიძემ განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ 2016 წლის ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს. იგივე განუცხადა პარლამენტს ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა, დავით ონოფრიშვილმა. მისი თქმით, 20 ლარით გაზრდილი პენსია, პრაქტიკულად, ორი წლის ინფლაციის კომპენსირებაა.



არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივით, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის და მისგან გამომდინარე კანონპროექტების წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით, ამომრჩეველთა მიერ შეგროვებული ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურების შემდეგ, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დასკვნის საფუძველზე, მომზადდა დადგენილების პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“. დღევანდელ სხდომაზე, 20-კაციანი კომისიის შემადგენლობა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი კახიანიმა გააცნო დეპუტატებს. პარლამენტმა მხარი დაუჭირა დადგენილების პროექტს და, შესაბამისად, კომისიის შემადგენლობას.

პლენარულ სხდომაზე განხილეს და მიიღეს კანონპროექტები: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; „საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; საქართველოს კანონის პროექტი „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“.

ეღმომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება



როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყანა ისრაფის გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფო და დანარჩენ მსოფლიოსთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაცია მოახდინოს. სწორედ ევროინტეგრაციის პროცესის შემდგომი გაღრმავების საწინდარს წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის ასოციაციის და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით გათვალისწინებული ღონისძიებების თანმიმდევრული და ეფექტიანი განხორციელება. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, საქართველოში მნიშვნელოვანი დარგობრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა. დასაქმების ზრდის, განათლების, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ეფექტურობის ზრდაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ განვითარებას. თანმიმდევრული დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი ერთეულების წამყვანი როლი მიმდინარე პროცესების სტიმულირებაში ცალსახად განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად. შესაბამისად,

სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებისას, აუცილებელია, კონკრეტული ღონისძიებები თვითმმართველობების ჩართულობას და მათ საჭიროებებს ზუსტად ითვალისწინებდეს. სწორედ ამიტომ, საჭიროა იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებიც პირველ რიგში აფერხებენ დასახული კეთილდღეობის მიღწევას. საქართველოს მთიანეთში, ანალიზის საფუძველზე, პრობლემათა შორის გამოიკვეთა რთული დემოგრაფიული ვითარება, რასაც განაპირობებს, როგორც მოხალისეების დაბალი და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები, რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის სიმცირე, ასევე შიდა და გარე მიგრაცია, რომლის მონაცემები ამ რეგიონებში განსაკუთრებით მაღალია. გარდა ამისა, არასაკმარისად არის განვითარებული ადამიანური რესურსები და შეზღუდულია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ამ ვითარებაში იკვეთება ადგილობრივი ხელისუფლების ახალი როლი, წახალისის კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას თანამედროვე ინფრასტრუქტურა. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონი დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და ხუთ თვითმმართველ ერთეულს - ამბროლაურის, ლენტეხის, ცაგერის და ონის მუნიციპალიტეტებს და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტს მოიცავს. სამხარეო დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, ბატონი **პარმენ მარგველიძე** წარმოადგენს, რომლის უშუალო მონაწილეობით და მეთვალყურეობით მიმდინარეობს რეგიონში ის დადებითი პროცესები, რომლებმაც, საბოლოოდ უნდა იმოქმედოს ამ მაღალმთიანი კუთხის კეთილდღეობაზე...

– ბატონო პარმენ, თქვენი გუბერნატორობის პერიოდში რომელი მთავარი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა რეგიონში?

– ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ჩვენი რეგიონისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის მიზანია მხარეში შემავალი ყველა მუნიციპალიტეტის თანაბრად განვითარება, შესაბამისად, მთელი მხარის მასშტაბით, აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით. ხორციელდება ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტები – ჩატარდა გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია, მოეწყო ნაპირსამაგრიები, მოწესრიგდა სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემები, განხორციელდა სკოლამდელი დაწესებულებების, ამბულატორიების, კულტურის შენობების,

სპორტული მიედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2014-15 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილ იქნა 3 159 549

ლარი და მოსახლეობასთან კოორდინირებული მუშაობით და მათ მიერ დასახლებული პრიორიტეტების მიხედვით, განხორციელდა 650-ზე მეტი პროექტი. მიმდინარე წელს, რეგიონში სხვადასხვა დროს მოსულმა უხვმა ნალექმა, სამწუხაროდ, გამოიწვია გზების, ხიდების, სანიაღვრე არხების, წყალსადენების და საყრდენი კედლების სერიოზული დაზიანებები. 2015 წელს, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოიყო 3 263 381 ლარი, რაც გადანაწილდა მუნიციპალიტეტებში დანიშნულების შესაბამისად. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში 2015 წელს, განხორციელებული საინვესტიციო პროექტების პორტფელის სრულმა მოცულობამ, თითქმის 20 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება.

– ჯანდაცვის და სოციალური პროექტების თაობაზე რას გვეტყობით?

– მოგესხენებათ, რომ ჯანდაცვის სფეროში ქვეყნის მასშტაბით, უმნიშვნელოვანესი პროგრამები ხორციელდება - მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რეგიონის მოსახლეობისთვის. გარდა ამისა, მოხდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომატის განახლება. ამ პროექტის ფარგლებში, ჩვენს რეგიონს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მაღალი გამავლობის 4 ახალი მანქანა გადმოეცა, ხოლო



უბნის ექიმებსა და ექთნებს 30%-ით გაეზარდათ ხელფასი. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ფინანსდება სხვადასხვა სახის სამედიცინო პროგრამა, მათ შორის — გადაუდებელი ოპერაციები, ონკოლოგიური, დიალიზის პროგრამა, კორონაროგრაფია, აუცილებელი დიაგნოსტიკური გამოკვლევები, სტაციონარში მედიკამენტური მკურნალობა, ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარების განწესება. პერიოდულად, ადგილზე უფასოდ ან თანადაფინანსებით ტარდება სხვადასხვა სახის სამედიცინო გასინჯვები და ქირურგიული ოპერაციები. სამწუხაროდ, მინდა აღვნიშნო, რომ დემოგრაფიული მდგომარეობა და შობადობის დაბალი მაჩვენებელი მთელი საქართველოს და მათ შორის ჩვენი რეგიონის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 2014 წლის ივლისის თვიდან პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ამოქმედდა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 3 და მეტ შვილიანი ოჯახებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარების განწესებას 200 ლარის ოდენობით. გარდა ამისა ოთხივე მუნიციპალიტეტსა და ქ. ამბროლაურში ყოველ ახალშობილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა. ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ასევე ფინანსდება სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამები მათ შორის: ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ფინანსური დახმარება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო კვება (სურვილის შემთხვევაში), მარჩენალდაკარგული ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, სოციალურად დაუცველი, უსახლკარო შშმ პირთათვის ყოველთვიური ბინის ქირით უზრუნველყოფა, „ასწლოვანი“ მოხუცთა, შშმ ბავშვთა, სამამულო ომის მონაწილეთა ფინანსური დახმარება და სხვა... გარდა ამისა მუნიციპალიტეტები სოციალურად დაუცველ ოჯახებს უზრუნველყოფენ საშემე მერქნის მომარაგებით.

- სოფლის მეურნეობა თვენი რეგიონის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა...

- სოფლის მეურნეობის განვითარებას ბოლო წლების განმავლობაში უდიდესი ყურადღება ექცევა სახელმწიფოს მხრიდან. მიმდინარე წელს, ისევე, როგორც მარშან, ნარმატებით ჩატარდა რთველი ამბროლაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული სუბსიდირების შედეგად, 2015 წელს 1 კვ ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენზე ფასმა 5 ლარი შეადგინა. გადამუშავდა 1500 ტონამდე ყურძენი, მათ შორის, 1325 ტონა ალექსანდროული და მუჯურეთული, მოსახლეობის შემოსავლებმა კი ამ მხრივ 6 მილიონ ლარს გადააჭარბა. ყურძენზე ფასის ზრდამ და სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულმა პროგრამებმა განაპირობა ახალი სავენახე ფართობის ათვისება, რაც რეგიონის მასშტაბით კვლავ აქტიურად გრძელდება. მეცხოველეობის მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. შარდომეთში მდებარე ქართულ-შვეიცარული მესაქონლეობის ფერმის საქმიანობა, რომელსაც შემუშავებული აქვს 5 წლიანი გეგმა და გათვლილია 12 მილიონი ევროს ინვესტიცია. პროექტი ითვალისწინებს 40-მდე ახალი ფერმის მშენებლობას, ეს კი თავისთავად განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. სახელმწიფოს მხრიდან ხდება კოოპერატივების ხელშეწყობაც, რადგან მათი შექმნა ხელს უწყობს ადამიანური რესურსის მოძიებას, გრანტებისა და საბანკო გარანტიების ადვილად ხელმისაწვდომობას, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო პროგრამებში აქტიურ ჩართვას და მონაწილეობას.

- რეგიონში ტურიზმის განვითარების მხრივ რა მდგომარეობაა?

- რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის პოტენციური საშუალებას იძლევა ნარმატებით განვითარდეს ტურიზმის სხვადასხვა სახეობა. მხარეში არის ცნობილი და მნიშვნელოვანი კურორტები, სადაც ასამდე სამკურნალო-მინერალური და გოგირდოვანი წყალი მოიპოვება. მოგებს ნებნათ, რომ ნებისმიერ სფეროში განხორციელებული სამუშაოები, რომელთა ნაწილზეც უკვე მოგახსენეთ, პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან. პირველ რიგში აუცილებელია საკურორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა და ამასთან დაკავშირებით აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. დაგეგმილია უნერაშოვის მიმართულებით 15 კმ-იანი გზის მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება კურორტ შოვის განვითარებისთვის. გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები შაორის განვითარების მიმართულებითაც. რეგიონში არა ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით-

თაც. ერთ-ერთი მათგანია „უნერა-მდგრადი განვითარების სოფელი“, რომელიც ითვალისწინებს კერძო საოჯახო სასტუმროების განვითარების ხელშეწყობას. ბოლო პერიოდში შაორის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა მღვიმე, რომელიც ერთ-ერთი უნიკალური და უღამაზესი ადგილია საქართველოში და მისი აღმოჩენით რაჭა კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო მხარე გახდება ტურისტებისთვის.

- 2016 წლიდან ამოქმედდება კანონი „მალაღმთიანი რეგიონების შესახებ“...

- აღნიშნულ კანონს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მასში გათვალისწინებულია მთელი რიგი შედგავებები, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა ისარგებლებს. მალაღმთიანი რეგიონებში მცხოვრები ოჯახები პირველ და მეორე ბავშვზე სახელმწიფოსგან ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიური დანამატის სახით 100 ლარს, მესამე და ყოველ შემდგომ ბავშვზე კი ორი წლის განმავლობაში არანაკლებ 200 ლარს მიიღებენ; ფიზიკური პირი თავისუფლდება საშემოსავლო და ქონების გადასახადებისგან, მენარმე მალაღმთიანი დასახლების სანარმოს სტატუსით თავისუფლდება მოგების და ქონების გადასახადებისგან; მალაღმთიანი რეგიონების მოსახლეობას ყოველთვიურად მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის 50% აუნაზღაურდება, პენსიებზე ყოველთვიური დანამატი იქნება არანაკლებ 20%, სოციალური პაკეტი 20%-ით გაიზრდება, საჯარო სკოლების მასწავლებლების საბაზისო ხელფასები 35%-ით, სპეციალური პროგრამების მონაწილე მასწავლებლებისთვის კი შრომის ანაზღაურება 50%-ით მოიმატებს. დანამატებია გათვალისწინებული ექიმებისთვის - სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ხოლო ექთნებისთვის - სახელმწიფო პენსიის ოდენობით — ეს იმ პრივილეგიების ნაწილია, რომლითაც კანონის ამოქმედების შემდეგ მალაღმთიანი რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა ისარგებლებს.

- ნარმატებებს ვისურვებთ...

- დიდი მადლობა... მინდა დამედეგი შობა-ახალი წელი მოგილოცოთ თქვენ და სრულიად საქართველოს. ვისურვებდი, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო ნარმატებული, მშვიდობიანი და ხვაივითა და ბარაქით დატვირთული ყოფილიყოს ჩვენი მხარისა და მილიანად საქართველოსთვის. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენს კუთხეში და ქვეყანაში ცხოვრების დონე და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. დარწმუნებული ვარ მონდობით და ერთმანეთის გვერდში დგომით ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ოჯახის მდგომარეობა ეტაპობრივად უკეთესობისკენ შეიცვლება...





2

015 წელი, საქართველოსთვის, დიდი გამოწვევების წელი იყო. ეკონომიკური პრობლემების და ფინანსური სტაგნაციის მიუხედავად, ქვეყნის ხელმძღვანელობას, დასახული ამოცანების მისაღწევად ცდა არ დაუკლია. დღეისათვის, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ისეთი სფეროების განვითარებისაკენ, როგორცაა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, მენარმეობა და მცირე და საშუალო ბიზნესი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნა. ყოველივე ეს, ქვეყნის სტაბილურობას და მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების პროცესებში ჩართულობას უზრუნველყოფს. ფაქტია, რომ ცენტრსა თუ რეგიონებში ახალი ხელმძღვანელების მოსვლის შემდეგ, პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით მიდგომები სრულად შეიცვალა – შემუშავდა ახალი სტანდარტები და გაიზარდა მათი კონტროლის მექანიზმები, აქცენტები ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გადავიდა, ხოლო ადგ-

წარმატება მთავრობის თანადგომაში განაპირობა

ილობრივი მუნიციპალიტეტები თავად განსაზღვრავენ პრიორიტეტულ მიმართულებებს. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **მალხაზ ლომთაძე** დარწმუნებულია, რომ რაჭაში, საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში, საქმისადმი სწორი მიდგომით, თავდაუზოგავი შრომით და განათლების სფეროს მიზანმიმართული განვითარებით, ადგილობრივი მოსახლეობის ყველა პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი.



– ბატონო მალხაზ, მოგიყვებით ბოლო პერიოდში ამბროლაურში დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ...

– წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მუნიციპალიტეტში მართლაც ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ და მუშაობა ყველა მიმართულებით ახლაც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. წლების განმავლობაში დაგროვებული პრობლემების მოგ-

ვარება, როგორც ამბროლაურში, ისე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ეტაპობრივად ხდება. ძირითადი ყურადღება მაინც ინფრასტრუქტურული პროგრამების განვითარებას ექცევა. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, მიზნად დავისახეთ რაიონში წყლის სისტემების მოწესრიგება და მისი სრული რეაბილიტაცია. ეს მიმართულება მთლიანად მიშვებული გახლდათ და ამ დარგში, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სავალალო მდგომარეობა სუფევდა. ფაქტია, რომ რაჭის 69 სოფლიდან წყალმომარაგების სისტემა არცერთში არ იყო გამართული და მოწესრიგებული. ჩვენი საქმიანობის და რეგიონალური ფონდის თანადგომით, მნიშვნელოვან წარმატებებს უკვე მივაღწიეთ. 2014 წელს 18, ხოლო წელს 24 პროექტი განხორციელდა. აღვადგინეთ და გავიყვანეთ ახალი მაგისტრალები, სამომავლოდ დაგეგმილია რეზერვუარების, სატუმბო სადგურების რეკონსტრუქცია და შიდა გამანაწილებელი ქსელების სრული რეაბილიტაცია. გარდა ამისა, სოფელ ხოტევეში განხორციელდა სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაცია, საიდანაც 2 ხიდი მოეწყო მდინარე ხოტევეურაზე და ბოგირი აშენდა შარაბიძეების უბანში. მდინარე რიონზე მოხდა სოფელ მუხ-



ლის ხიდის რეაბილიტაცია. დაფინანსდა ხოტევი-კვირიკენმინდა, ველევი-ბეთლევის სასოფლო და სოფელ ხვანჭარაში საუბნო გზების რეაბილიტაცია. მდინარე ლუხუნზე, სოფ. წესში, ბარაკონის ტაძართან ჩატარდა ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები. ამასთან ერთად, აღსანიშნავია კრიზი-ამბროლაურის საავტომობილო გზის 1 რიგის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო სოფელ სადმელში - სანიაღვრე არხების ასაწყობი რკინაბეტონის ლარებით მოწყობა და შიდა გზების რეაბილიტაცია.

- განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს...

- ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბავშვებზე ზრუნვა ჩვენთვისაც უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, სოფელ ბუგეულში ექსპლუატაციაში შევიდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ახალი უნიკალური საბავშვო ბაღი, ყველაფერი, რაც მუნიციპალიტეტში კეთდება, საბოლოოდ მომავალი თაობის სასიკეთოდ მოიაზრება და ვფიქრობ, ჩვენი ყოველი გადადგმული ნაბიჯი მათ აღზრდა-განათლებას უნდა ემსახურებოდეს. სწორედ ამიტომ, მიზნად დავისახეთ ბაღებზე ზრუნვა. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში, დღეის მდგომარეობით, 13 ასეთი დაწესებულება ირიცხება. 2014 წლიდან მოყოლებული, ავაშენეთ 5 ახალი შენობა, ხოლო დანარჩენებში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა. პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა სველი წერტილები, სასადილო და საძინებელი ოთახები. შეძენილ იქნა ახალი საწოლები და ლეიბები, სპეციალური ლიტერატურა და ინვენტარი. გაისად, ასეთივე დაწესებულება სოფელ ჟოშხაში გაიხსნება.

- როგორ უყურებთ მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს?

- სამწუხაროდ, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, რაჭაში გასულ წლებში ყველაზე ნაკლები ინფრასტრუქტურული პროექტი იქნა განხორციელებული. ამან რეგიონიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება განაპირობა. ჩვენთან მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დასვენების მიზნით მხოლოდ ზაფხულის პერიოდში ჩამოდის, თუმცა, სამწუხაროდ, სუსტად განვითარებული მომსახურების სფეროს პირობებში, რეგიონში თანხა მაინც არ იღეკება. არადა, რაჭას ბუნებრივი რესურსების გამო, ტურიზმის უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ინფრასტრუქტურის შესაბამის დონეზე განვითარების გზით, შესაძლებელია ტურისტების სოლიდური რაოდენობის მოზიდვა და მომსახურების სფეროში ადგილობრივი მოსახლეობის მასიური დასაქმება. ჩვენს მუნიციპალიტეტში, სხვა ობიექტებთან შედარებით, ყველაზე დიდი პოტენციალი უდავოდ შაორის წყალსაცავს გააჩნია. მასზე მართლაც მასშტაბური ინფრასტრუქტურის აგება შესაძლებელი. ტბის გარშემო სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გზის, ბუნებრივი აირისა და წყლის კომუნიკაციების გაყვანა, რასაც ინვესტიციების მხრიდან სასტუმროების, რესტორნებისა და იახტ-კლუბების მშენებლობა მოწყობა და მეთევზეობის განვითარება. მუნიციპალიტე-





ტის კიდევ ერთი ბრენდი, სოფელი ნიკორწმინდა გახლავთ, რომელიც რაჭის პირველი სოფელი და კარიბჭეა. ხოლო ერთადერთი მონასტერი ჩვენ მხარეში, რომლის დაარსების თარიღიც ზუსტადაა ცნობილი, სწორედ ნიკორწმინდის მონასტერია. გაერთიანებული საქართველოს მეფის - ბაგრატ III-ის დროს აგებული მონასტერი წმინდა ნიკოლოზის სახელზე აშენებული უბრწყინვალესი ტაძრით ღვთისმოსავი ბერების მყუდრო სავანედ 1000 წლის წინ იქცა.



ვფიქრობ, არ შეიძლება ასეთი ბრწყინვალე ხელოვნების ნიმუშის უყურადღებოდ დატოვება და იგი ქვეყნის ყველა სტუმარმა აუცილებლად უნდა მოინახულოს. სწორედ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტს შორის



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი ჩემთან ერთად, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ მოაწერა. მისი მიზანია რაჭის ტურისტული პოტენციალის განვითარება, ერთობლივი პროექტების განხორციელება და ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის რაჭაში მცირე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, რაც საფეხმავლო ბილიკების მარკირებას და მანიშნებლების მონტაჟს გულისხმობს.




- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან უამრავი პროექტის განხორციელება იგეგმება, კვლავ გაგრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული გზებისა და წყლების რეაბილიტაცია, მონესრიგდება გარე განათება. გავაგრძელებთ ინვესტიციების მოზიდვას. მოგეხსენებათ, რაჭაში მოიპოვება უნიკალური ვაზის ჯიშები - ალექსან-



დროული და მუჯურეთული, რომლითაც მზადდება მსოფლიოში ცნობილი ღვინო, ხვანჭყარა. წელს დიდი წარმატებით ჩატარდა რთველი „რაჭა-2015“, რაც მთავრობის თანადგომამ და ხელშეწყობამ განაპირობა. ამჟამად ვენახების ფართობის გაფართოება მიმდინარეობს, რაც დამატებით დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას შემოსავლების გაზრდაში. გარდა ამისა, ვაპირებთ ყურადღება დავუთმოთ რაჭის ბუნების და უნიკალური ტყის მასივების პოპულარიზაციას, რათა განვახორციელოთ ტურისტული გარემო, რაც, სამწუხაროდ ამ ეტაპზე შედარებით დაკნინებულ მდგომარეობაში იმყოფება.



ლი ხიდი, რომელიც საშინელ მდგომარეობაში იყო და მანქანები მიმოსვლას ვერ ახერხებდნენ. მარაბიძეების და გოცირიძეების უბანში ასევე აღვადგინეთ



ხიდები და შევაკეთეთ ბურჯები, რომლებიც წყალდიდობისას დაზიანდა. გარდა ამისა. სოფელ ხოტევეში გაკეთდა განათების სისტემა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ყოფას უფრო მოხერხებულს და კომფორტულს გახდის. დამატებით მინდა აღვნიშნო ბატონი მალხაზის დამსახურება ხოტევის მთავარი წყალსადენის რეაბილიტაციის საქმეში. სოლომონის წყაროდან, რომელიც სოფლიდან 6 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, მიღების საშუალებით მოხდა სოფელში შემონმეხული და შესანიშნავი თვისებების მქონე წყლის გამოყვანა, რომელიც მალე ქსელში გაიშვება. აქედანვე მომარაგდებიან სოფლები იწა და ახალსოფელი. მსგავსი პრობლემა მოუგვარდათ სოფელ ზემო სხარტალში, სადაც სასმელი წლის სისტემა არსებობის მანძილზე არ ჰქონიათ. ასეთი კეთილი საქმეებით მოსახლეობა ძალზე კმაყოფილია და ყველას იმედი გვაქვს, რომ ერთმანეთის თანადგომით ღირსეულად დავძლევთ არსებულ პრობლემებს.




ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, ბატონ მალხაზ ლომთაძესთან ჩვენს საუბარს,

სოფელ ხოტევის გამგებელი, როზიზონ ავალდიანი შემოესწრო და ერთი კითხვა მასაც დაუფსვით...

- ბატონო როზიზონ, კონკრეტულად თქვენს სოფელში რა პროექტები განხორციელდა?

- მიმდინარე წელს, ჩვენთან გამგეობის მიერ დაგეგმილი და დაფინანსებული 10 პროექტი განხორციელდა. სამუშაოები 3 თვეში ჩაეგია და ბატონი მალხაზის დამსახურებით ყველაფერი წარმატებით დასრულდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხოტევის, სხარტალის, ჭკადიშის შესასვლელი და ცენტრალური გზიდან ველევის მიმართულებით გამავალი მესამე გზას სოფელ შხივანამდე. მოეწყო ბარიერები და სპეციალური სანიაღვრეები. გურგენიძეების უბანში განახლდა მდინარე ხოტევეურაზე მდებარე 7-8 სოფლის დამაკავშირებელი



ვაჰირაბთ ჯვლავაც ინფრასტრუქტურულ მიმართულებას მიჰხედოთ




ას შემდეგ, რაც თვითმმართველობის ახალი კოდექსი დამტკიცდა, ქვეყნის მასშტაბით ქალაქებისა და სოფლების რეალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება დაიწყო - გაიზარდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დონე და რეალურად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი. ყოველი თვითმმართველი ერთეული ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმვაში სრულიად თავისუფალი გახდა და განვითარების კარგი შანსი გაუჩნდა. ინტენსიურად მიმდინარეობს, როგორც ადგილობრივი ბიზნესის, ისე პოტენციური ინვესტორების მოზილიზება, რაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციას, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფას, ბუნებრივ რესურსებზე წვდომას და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მაქსიმალურ მხარდაჭერას გულისხმობს. საქართველოს ულამაზესი კუთხიდან, რაჭიდან, ამბროლაური ერთადერთია, ახალი კოდექსის თანახმად თვითმმართველი ქალაქის სტატუსი რომ მიენიჭა, ხოლო ბატონი რატი ნამგალაძე გახდა ქალაქ ამბროლაურის მერი, რომელიც მოსახლეობამ პირდაპირი წესით აირჩია. შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის ხელმძღვანელი მთლიანად ორიენტირებულია მოსახლეობის საჭიროებებზე, საკუთარ ბიუჯეტს ადგილობრივი თვითმმართველობა თავად განკარგავს და ცენტრზე აღარ არის დამოკიდებული. სწორედ ამ გარემოებამ შესაძლებელი გახადა ქალაქის ცხოვრებაში იმ ცვლილებების შეტანა, რომელთა შესახებ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **რატი ნამგალაძე** თავად გვცხადებს.

და რეაბილიტაციის სამუშაოები, ასფალტირებული ქუჩების დახაზვა და მარეგულირებელი ნიშნების მოწყობა. დღესაც მიმდინარეობს სანიაღვრე არხებისა და გზის გასწვრივ დამცავი ბეტონის კედლების მოწყობის სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში მოხდა გარე განათების ქსელის გაფართოება და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. სუბსიდირებულ იქნა ქალაქის მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა—დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ხეების მოჭრის სამუშაოები, სანიაღვრე არხების განმენდა, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება და მოხდა სპეციალური ნაგავმზიდი ავტომანქანის შექმნა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ქალაქში არსებული აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის მეორე ეტაპის კეთილმოწყობის სამუშაოები უკვე დასრულებულია და 2016 წელს მესამე ეტაპი დაიწყება და შესაბამისად, ამავე წელს, ექსპლუატაციაში შევა. რეაბილიტირებულია სანიაღვრე არხები, განახლდა და გადაიხურა წლების მანძილზე მოუწესრიგებელი საკვები პროდუქტისა და სხვადასხვა საქონლისათვის განკუთვნილი სავაჭრო დახლები, რაც მომხმარებელთათვის მრავალი წლის მანძილზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა. დამატებით, გავით-

- ბატონო რატი, რასიახლებია ქალაქში?
- დავინწყებ იმით, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2015 წელს 3,5 მილიონი ლარი იყო. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 200 000 ლარი და რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხიდან 860 000 ლარი დაიხარჯა. განხორციელდა შიდა გზების მოვლა-შენახვისა

და რეაბილიტაციის სამუშაოები, ასფალტირებული ქუჩების დახაზვა და მარეგულირებელი ნიშნების მოწყობა. დღესაც მიმდინარეობს სანიაღვრე არხებისა და გზის გასწვრივ დამცავი ბეტონის კედლების მოწყობის სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში მოხდა გარე განათების ქსელის გაფართოება და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. სუბსიდირებულ იქნა ქალაქის მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა—დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ხეების მოჭრის სამუშაოები, სანიაღვრე არხების განმენდა, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება და მოხდა სპეციალური ნაგავმზიდი ავტომანქანის შექმნა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ქალაქში არსებული აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის მეორე ეტაპის კეთილმოწყობის სამუშაოები უკვე დასრულებულია და 2016 წელს მესამე ეტაპი დაიწყება და შესაბამისად, ამავე წელს, ექსპლუატაციაში შევა. რეაბილიტირებულია სანიაღვრე არხები, განახლდა და გადაიხურა წლების მანძილზე მოუწესრიგებელი საკვები პროდუქტისა და სხვადასხვა საქონლისათვის განკუთვნილი სავაჭრო დახლები, რაც მომხმარებელთათვის მრავალი წლის მანძილზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა. დამატებით, გავით-



ვალისწინეთ მომავალი თაობების აღზრდის საკითხები, რაც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია - ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ერთი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, სადაც დაწყებით განათლებას 150 -ზე მეტი აღსაზრდელი იღებს, პროგრამის ფარგლებში ჩვენ მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის აღმზრდელთა ხელფასებს ვაფინანსებთ. გარდა ამისა, კოსტავას ქუჩაზე, ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის ახალი კეთილმოწყობილი სკვერი გაიხსნა, რომლის სახითაც ქალაქს კიდევ ერთი ინფრასტრუქტურულად გამართული და რეაბილიტირებული ობიექტი შეემატა.

- ცალკე მინდა გკითხოთ სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე...

- ეს საკითხი ქალაქში ათეულობით წლის განმავლობაში მუდამ დიტივინულად იდგა. ადგილობრივი ბიუჯეტის, რეგიონალური ფონდის და მუნიციპალური განვითარების ფონდის თანადაფინანსებით ფრიად მასშტაბური პროექტი წამოვიწყეთ, რომელიც 2016 წელს დამთავრდება. უკვე დასრულებულია დავით აღმაშენებლის და შოთა რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული სანიაღვრე არხის, ბოგირის მოწყობა და აღმაშენებლის ქუჩის ასფალტირება, ღონისძიების ფარგლებში მოხდა ბრატისლავა-რაჭის, დელის, ვაჟა-ფშაველას, ჭავჭავაძე-ხუციშვილის სანიაღვრე არხების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დაფინანსება. მიმდინარეობს საკანალიზაციო სისტემების შემდგომი ეტაპისთვის მზადება, რომლის დასრულებისთანავე გზების დაბეტონება-მოსაფალტებას დაიწყებთ.

- სოციალური და ჯანდაცვის სფეროს მხრივ რა სიახლეებია?

- ჩვენი მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამით განსაზღვრულია ეკონომიკურად შეჭირვებულ მოქალაქეთა სოციალური დაცვა, ახალშობილთა, მრავალშვილიანი, მარჩენალთა კარგული ოჯახების, შუბლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა, ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების, მზრუნველობამოკლებული, მიუსაფარი ბავშვების ფინანსური დახმარება. უკიდურესად გაჭირვებული, უსახლკარო ოჯახების და მოსახლეობის ყოფილი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საშუალო მერქნით დახმარება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის პროგრამა, რომელიც ამ სენით დაავადებულ ადამიანებში საჭირო კვლევების განხორციელების პირობებს განსაზღვრავს და მკურნალობის პროცესში მათი ჩართვის ხელშეწყობას ითვალისწინებს.

- გვერდს ვერ ავუვლით ქალაქის კულტურულ და სპორტულ ცხოვრებას...

- ამბროლაურში 2015 წელს უწყვეტად გრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული დონის ამაღლება. ვცდილობთ სტიმული მივცეთ კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ჩვენი პრიორიტეტია ახალგაზრდების, როგორც სულიერი, ისე ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ვახორციელებთ კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტის პოპულარიზაციასა და შესაბამისი პირობების შექმნა-განვითარებას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და გამოვლენა მაქსიმალურად შეძლონ. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სპორტული სექციების ფინანსური მხარდაჭერა, სპორტსმენების მივლინების ანაზღაურება და ა.ა.ი.პ. „ამბროლაურის

კომპლექსური სასპორტო სკოლის“ სუბსიდირება. გარდა ამისა, ჩვენი ინიციატივით, ქალაქ ამბროლაურში არსებული საცურაო აუზი, მოსწავლეთა ახალგაზრდებს განახლებული ტარაფრით ემსახურება. 30 ლარის ნაცვლად 8-ჯერ ვიზიტი 10 ლარამდე შემცირდა, რათა ამ გამაჯანსაღებელი ტიპის დაწესებულების გამოყენება უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. კულტურის მიმართულებას რაც შეეხება, ფინანსდება ა.ა.ი.პ. „დავით



თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, სადაც 125-მდე მოსწავლე სწავლობს. გაგრძელდება ახალგაზრდების საგანმანათლებლო დონის ამაღლების ხელშეწყობა „უჩა ჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლასა“ და ფოლკლორულ ანსამბლში, რომელიც 50 წლისაა და დათუნიკა სხირტლაძე ხელმძღვანელობს. და ბოლოს, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ტრადიციული ფესტივალის "ფუტეობის" აღდგენა, რომელიც ქალაქ ამბროლაურში ოქტომბრის თვეში გაიმართა. ფესტივალის იდეა რაჭიდან წასული ადამიანების საკუთარ ფუტეზე დაბრუნებას და ჩვენს მაღალმთიან სოფლებში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. „ფუტეობას“ საფუძველი 1988 წლის ოქტომბერში ჩაეყარა და მრავალი წლის შემდეგ, აღდგენილი სახით წელს პირველად ჩატარდა. საინტერესოა, რომ 2015 წელი სლოვაკეთსა და რაჭას შორის ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის წელია და დღესასწაულს მრავალ საპატიო სტუმართან ერთად სლოვაკეთიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსული დელეგაცია ესწრებოდა.

- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

- სამომავლოდ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება ვაპირებთ, რაც ვფიქრობ, დიდ ზეგავლენას იქონიებს ქალაქის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე. მაქსიმალურად ვეცდებით დაწყებული სამუშაოები დავასრულოთ და კვლავაც ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს მივხედოთ. გარდა ამისა, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია - ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის განვითარება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, დასაქმება და სოციალური უზრუნველყოფა. იმედი მაქვს, ამაში ხელს ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა შეგვიწყობს. გარდა ამისა ამბროლაურის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია, რომელიც უკვე წლებია დგას ქალაქის მოსახლეობის წინაშე. როგორც ხედავთ, გამონვევები ძალიან დიდაა და იმედი მაქვს, ხელისუფლებისა და მოსახლეობის ერთად დგომით, ყველაფერი დადებითად გადაწყდება.





საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები ცხადყოფს, რომ ლარის არამყარ მდგომარეობისა და ეკონომიკაში წარმოშობილი დროებითი ხარვეზების მიუხედავად, რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება და სოფლის მეურნეობა კვლავ მთავარ პრიორიტეტებად რჩება. უკანასკნელ პერიოდში, ქვეყნის მთავრობამ გარკვეულწილად დაძლია ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი და ამოცანად კონკრეტული რეგიონების შემდგომი განვითარება დაისახა. ამის მისაღწევად მუშაობა რამდენიმე მიმართულებით გრძელდება - დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ინფლაციის დონის დაჩუქურთმება, ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად და ეკონომიკური სტაგნაციის საბოლოოდ დასაბრუნებლად ქვეყანამ კვლავაც უნდა გააგრძელოს განსაკუთრებული ძალისხმევა. თავისუფალი ეკონომიკის კურსი პერიოდების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს, რაც მოქალაქეებს, მენარმეებსა და ინვესტორებს შესაძლებლობას მისცემს, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის გადაწყვეტილებით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის საფუძველზე, შესაბამის სოფლებს და ადმინისტრაციულ ცენტრებს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭება, რაც მომავალში ამ რეგიონების შემდგომ განვითარებას, ინვესტიციების ზრდას და სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტას განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად თავისი მდებარეობისა, ამ შეღავათებით ცაგერის მუნიციპალიტეტიც ისარგებლებს, რაც, მისი გამგებლის, ბატონი **რაქვა ზანიძის** ვარაუდით, კიდევ უფრო გაზრდის ამ კუთხის როლს ქართული სახელმწიფოს განვითარების საერთო საქმეში...

პრობლემები, პრობლემატიკა, პრობლემატიკა... სამოქმედო უამრავი...

ყვეტილებით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის საფუძველზე, შესაბამის სოფლებს და ადმინისტრაციულ ცენტრებს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭება, რაც მომავალში ამ რეგიონების შემდგომ განვითარებას, ინვესტიციების ზრდას და სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტას განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად თავისი მდებარეობისა, ამ შეღავათებით ცაგერის მუნიციპალიტეტიც ისარგებლებს, რაც, მისი გამგებლის, ბატონი **რაქვა ზანიძის** ვარაუდით, კიდევ უფრო გაზრდის ამ კუთხის როლს ქართული სახელმწიფოს განვითარების საერთო საქმეში...

- ბატონო რევაზ, რა ვითარებაა ცაგერის მუნიციპალიტეტში?
- მართალია, ლეჩხუმი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი განვითარების დონე და ხარისხი ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, სარკინიგზო კვანძებიდან დაშორება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დაბალი დონე მნიშვნელოვნად ართულებს საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. მიუხედავად გარკვეული პოტენციალის არსებობისა, გარკვეულწილად ჭირს ინვესტიციების მოზიდვა და მათი გადანაწილება. „ლაჯანურჰისის“ გარდა, ფაქტობრივად არ მოქმედებს არცერთი ძლიერი სანარმო, დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემების გამო, მაღალია მიგრაციის დონე და უკვე წლებია დემოგრაფიული ბალანსის საღიბოც მკვეთრად უარყოფითია. საბედნიეროდ, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის გადაწყვეტილებით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს და ადმინისტრაციულ ცენტრს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭება, რაც მომავალში ამ მხარის შემდგომ განვითარებას და ინვესტიციების ზრდას უზრუნველყოფს.

- ამ ეტაპზე თუ შეინიშნება წინგადადგმული ნაბიჯები?
- რასაკვირველია, ქვეყანაში მიმდინარე დადებითი პროცესები ჩვენი რეგიონის განვითარებაზეც აისახება. ჩვენი მუშაობის ამოსავალი წერტილი საჯაროობის შემდგომი

გაუმჯობესება და მმართველობაში საზოგადოების ფართო ჩართულობა გახლავთ. სწორედ ამიტომ, გამგებობასა და სოფლებში შევქმენით საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ყველა საჭირობო საკითხის გადაწყვეტაში. ამზადებენ ნიადაგს, რათა უფრო კონკრეტულად მოხდეს პრიორიტეტების გამოკვეთა, მოსახლეობაში აწარმოებენ ახსნა-განმარტებით მუშაობას და ხელს უწყობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. ყველა სოფელში თუ დასახლებულ პუნქტში, ერთი პროექტი მაინც განხორციელდა, რომელიც შიდა გზების, წყალსადენის, გარე განათების მოწესრიგებას და სოფლის ცენტრების კეთილმოწყობის საკითხებს შეეხებოდა.

- უფრო კონკრეტულად რომ გვითხროთ?
- როგორც მოგახსენეთ, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შესაბამისი პროექტების სწორად შერჩევა და მათი სტრატეგიულ გეგმაში ასახვა ჩვენი მუშაობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. შესაბამისად, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ლაილაში-თაბორის 8 კილომეტრის მონაკვეთს, რაზეც 240 ათასი ლარი დაიხარჯა. 342 ათასი ლარით დაფინანსდა ცაგერი-ლასურიაში-ალვი-ნაკურალესის გზის რეაბილიტაცია. სოფელ ჩვესოს შესასვლელი გზების რეაბილიტაცია, ფაქტიურად ყველა სოფელში მისასვლელი გზა იქნა რეაბილიტირებული, განხორციელდა 12 საბავშვო ბაღის რემონტი, სკოლაში ალზრდის დაწესებულებები აშენდა სოფელ დეხვირში და მახანში, შეკეთდა სამუსიკო სკოლის შენობა და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სურათების გალერეას, ქალაქის რამდენიმე ქუჩაზე მოენწყო ასფალტო-ბეტონის საფარი. ახალი წყალსადენები გაიმართა ან ძველის რეაბილიტაცია განხორციელდა მუნიციპალიტეტის 7 სოფელში. რესპუბლიკურ ტრასაზე არსებულ ყველა წყაროს ჩაუტარდა შეკეთებითი სამუშაოები. გარდა ამისა, აშენდა კეჭნარის არხი და დაიწყო ცაგერის ისტორიული მუზეუმის მარჯვენა ფლიგელის მშენებლობა, რომელზედაც 282 ათასი ლარი იქნა გამოყოფილი. მთელ რიგ შემთხვევაში, ჩატარებული იქნა ნაპირსამაგრი სამუშაოები, გარკვეულ ადგილებში მოწესრიგდა გარე განათებისა და კანალიზაციის სისტემები, ამასთანავე მოენყო ხიდ-ბოგირები, გზის დამცავი საშუალებები.

- სოციალური პროექტების განხორციელება როგორ მიმდინარეობს?



- სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარება და სპეციალური პროგრამების განხორციელება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. სწორედ ამიტომ, ამ პროექტების განხორციელებისათვის, 2015 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში 357 ათასი ლარი გვაქვს გათვალისწინებული. სოციალური დახმარების სუბსიდირება 10-მდე ქვეპროგრამასა და დამატებით რამდენიმე ინდივიდუალურ პროექტს მოიცავს და გათვლილია უმწეოთა კვების უზრუნველყოფაზე, ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე, სამკურნალო წამლების და ძვირად ღირებული სამედიცინო გამოკვლევების თუ ოპერაციების თანადაფინანსებაზე, ომის ვეტერანების, ხანდაზმულების და მარტოხელა დედების დახმარებებზე. 2016 წლიდან გადაწყვიტეთ „სოფლად პროფილაქტიკურ გასინჯვებისა და ექიმთა დახმარების“ პროგრამა ავამოქმედოთ. ექიმთა სპეციალისტებით დაკომპლექტებული ბრიგადები პერმანენტულად გავლენ ადგილებზე და მოსახლეობას შესაბამის დახმარებას გაუწევენ. ამასთანავე, ვაპირებთ საშუალო მედპერსონალის რიცხვის გაზრდას, რათა ყველა სოფელში გვყავდეს ექთანი და მოქალაქეებს საშუალება ჰქონდეთ, მისგან კვალიფიციური დახმარება მიიღოს.

- კულტურისა და სპორტის სფეროში რა ვითარებაა?

- ლეჩხუმი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი კულტურული თვითმყოფადობით. ამის დასტურია, თუნდაც ცაგერის სახალხო თე-



ატრის 130 წლიანი ისტორია. სწორედ ამიტომ, ჩემი, როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის, ერთ-ერთი ამოცანაა ხელი შევუწყო ამ მდიდარი ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას. მუნიციპალიტეტში ჩამოვყალიბებთ 6 ა(ა)იპ, რომელიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება - ფუნქციონირებენ სამხატვრო და სამუსიკო სკოლები, ისტორიული მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, ლ. ასათიანის და ს.ისიანის სახლ-მუზეუმები, აკადემიური გუნდი და ფოლკლორული თუ ცეკვის ანსამბლები. აღნიშნულმა კოლექტივებმა გააფართოვეს და განავითარეს კულტურული ცხოვრება, ჩვენი ნორჩი მხატვრები, მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავენი მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთ გამართულ ფესტივალებსა და ღონისძიებებზე. მიმდინარე წელს დასრულდება მუზეუმის რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები, რაც საშუალებას მოგვცემს ყველა ისტორიულ ნივთს დაშვებული სტანდარტებით გათვალისწინებული გარემო შევუქმნათ. გარდა ამისა, სოფელ დეხვირში ჩამოყალიბდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ და ამ ეტაპზე მისი ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს. მდიდარ სპორტულ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებენ ლეჩხუმელი მოჭიდავეები, ფრენბურთელები, მეკლდეურები და სპორტის სხვადასხვა სახეობით დაკავებული ახალგაზრდები. ამიტომ, ვცდილობთ გავაუმჯობესოთ სპორტული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა სასპორტო სკოლას და რაც ყველაზე მთავარია, უახლოეს მომავალში გვექნება ევროპულ დონეზე აღჭურვილი, მრავალპროფილიანი სპორტული დარბაზი, რომლის მშენებლობისთვის 2,7 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

- რაოდენ მნიშვნელოვანია რაიონში ტურიზმის განვითარება?

- ლეჩხუმში ტურიზმის განვითარების პოტენციალი მართლაც მაღალია. მსოფლიოში განთქმულია ჩვენი ხვამლის მთა, ასხი, მდ. ცხენისწყლის, ჯონოულის, ლაჯანურისა და რიონის ულამაზესი ხეობები... ისტორიული ციხე-სიმაგრეების სიმრავლე, შემორჩენილი უძველესი საკულტო ადგილები, მრავალფეროვანი და ლამაზი ლანდშაფტი იმის საშუალებას იძლევა, რომ დიდი რაოდენობის სტუმარი მოიზიდოს და ტურიზმის ყველა სახეობამ, მათ შორის ექსტრემალურმა მიმ-

დინარეობებმა (დელტოპლანერიზმი, კლდეზე ცოცვა, ჯომარდობა) ჰპოვოს განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება რელიგიურ ტურიზმს - მოგვსენებათ, ქალაქ ცაგერში წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავი მდებარეობს და აქ ყოველწლიურად მაქსიმოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმები თუ კონფერენციები ტარდება, რაც მომლოცველთა ნაკადის ზრდას თავისთავად განაპირობებს. ყოველწლიურად უამრავ სტუმარს მასპინძლობს ხვამლის XII საუკუნის სალოცავი, ხოლო სოფელ ლაილაში დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ უძველესი სინაგოგა და სომეხთა გრიგორიანული ეკლესია ფუნქციონირებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ბევრია მინერალური წყარო და ბალნეოლოგიური მკურნალობისათვის გათვლილი ადგილები - ძულური, ლაშიჭალა, ახალჭალა, ზუბი, ალვი, ალპანა, ლაძგვერია. ახლა, მთავარია შესაბამისი ინფრასტრუქტურა შეიქმნას და ინვესტორები აღნიშნული საკმით დავაინტერესოთ. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება საოჯახო სასტუმროების, კვების ობიექტების მშენებლობასა და განვითარებას. შესაბამის უწყებებთან კავშირში უნდა განისაზღვროს ტურისტული მარშრუტები, მომზადდეს კადრები.

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები?

- იმ პრობლემების გათვალისწინებით, რომლებიც სამწუხაროდ მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ ბევრია, იძულებული ვართ ჩვენი ძალისხმევა რამდენიმე მიმართულებით წარვმართოთ. მათ შორის უმთავრესი მაინც სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის მნიშვნელოვანი შემცირებაა, რაც თავისთავად მიგრაციის კლებას და შრომისუნარიანი მოსახლეობის მატებას განაპირობებს. ჩვენი გამოთვლით, სახელმწიფო თუ კერძო ინვესტიციების ზრდამ და მათმა მიზნობრივმა განაწილებამ, დასაქმებით 400-500 ადამიანი უნდა უზრუნველყოს. განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის, წახალისება სჭირდება კოოპერაციულ მოძრაობას. მიუხედავად დიდი პრობლემებისა წელს წარმატებით განხორციელდა რთველი - 2015 და რაიონის მოსახლეობამ ყურძნის რეალიზაციით მილიონ ლარზე მეტი მიიღო. ამიტომ, ვფიქრობთ ლეჩხუმურმა ღვინომ თავისი ადგილი უნდა დაიბრუნოს ქართულ თუ მსოფლიო ბაზარზე. უნიკალური „უსახელოური“, გემური თვისებით გამოირჩეული „ორბელური ოჯალეში“ და ლეჩხუმური ე.წ. „ტივების ცოლიკაური“ ჩვენი გლეხები ერთ-ერთ ძირითად საქმიანობად უნდა იქცეს. ვაპირებთ შესაბამისი ადგილწარმოშობის სერთიფიკატები მივიღოთ, რაც თავისთავად მოხსნის მონეული ყურძნის რეალიზაციის პრობლემას. ამასთან ერთად, ჩვენი მხარე ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მეცხოველეობის პროდუქტებით, ეკოლოგიურად სუფთა ხილითა და ბოსტნეულით. ჩვენი ტყე მდიდარია მოცვიით, მაცუვლით, ასკილით, ანწლით, ნაბლით, ზღმარტლით, შინდით, ჯონჯოლით... უნიკალურია ლეჩხუმური თაფლი, რადგანაც ჩვენი ტყეები მდიდარია ნაბლით, ცაცხვით, სუბალპური და მთისწინა მდელოებით, ეკოლოგიურად სუფთა ფლორით, რაც ფუტკარის საუკეთესო საკვებ ბაზას წარმოადგენს. გარდა ამისა, მომავალი წლისთვის უნდა დასრულდეს სპორტ-დარბაზის, ქვედა ცაგერის ბაღის, ზედა ლუხვანოს წყალსადენისა და სოფ.ალპანის ღია სპორტული მოედნის მოწყობა. ასევე 250 ათას ლარს ვითვალისწინებთ მძიმე ტექნიკის შესაძენად, რომელიც გამოყენებული იქნება ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებისათვის და ნაპირსამაგრი ღონისძიების განსახორციელებლად. როგორც ხედავთ, პოტენციალი ბევრია, სამოქმედოც უამრავი. მთავარია ჩვენი მუშაობა წარმართოს ისე, რომ უახლოეს მომავალში ლეჩხუმში ცხოვრება და ყოფა უფრო კომფორტული გახდეს.





ას შემდეგ, რაც ორიოდე წლის წინ, საქართველოს მოსახლეობამ, საკუთარი მკაფიო ნება გამოხატა და მხარი სახელმწიფოს სათავეში ახალი ძალის მოსვლას დაუჭირა, ქვეყანაში რადიკალური ცვლილებების განხორციელების დრო დადგა. შესაბამისად, მთავრობის მიერ რეფორმების გატარების შედეგად, დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ემყარება, რომელიც საკუთრე-

დარწმუნებული ვარ, მიგრაცია შეწყდება

ბის უფლების განუხრელ დაცვას, გამჭვირვალე ურთიერთობებს და კერძო სექტორის თავისუფლებას გულისხმობს, ხოლო რეგიონალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა მაქსიმალურად არის მორგებული საქართველოს უმთავრეს საჭიროებებსა და ფართო გამოწვევებზე - შემუშავდა ახალი სტანდარტები, გათვალისწინებულია მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება. ტარდება ნაპირდაცვითი და მენყერსაწინააღმდეგო სამუშაოები. აგრარული პოლიტიკის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში დარეგულირდა მინათსარგებლობის საკითხები, ხელი ეწყობა სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარებას. შეიქმნა ფერმერთა რეესტრი. ვითარდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემა. მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი არიან ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, ხოლო ფერმერული კოოპერატივების განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ ტენდენციების კენ სწრაფვა ლენტეხის მუნიციპალიტეტშიც ნათელი და თვალშისაცემია. ბოლო წლებია, რაიონს აშკარად ეტყობა მზრუნველი მმართველის ხელი. წინსვლა ყველა მიმართულებით შეინიშნება და რაიონში წარმატებულად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული თუ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. სწორედ სიახლეებზე და სამომავლო პერსპექტივებზე გვესაუბრა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ამირან ჯამბურია**.



– ბატონო ამირან, რა სიახლეებია ლენტეხის მუნიციპალიტეტში?

– ნელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში, სასიცოცხლო მნიშვნელობის არაერთი პროექტი განხორციელდა და ერთ დროს უპერსპექტივო მდგომარეობაში მყოფმა რაიონმა წინ მნიშვნელოვნად წამოინია. შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია მოხდა სოფლებში: მუნდი, საყდარი, ფანაგა, ჭველეფი, ლაშხარა, მახაში, ნანარი, ლესემა, ბულეში, დურაში, ხერია და ღობი. წყალსადენების

აღდგენითი სამუშაოები ჩავატარეთ კახურაში, მელურაში, ლეშაგორში, ჩუკულში, ახალშენში, ლაშხარასა და ღობში. გარდა ამისა, ლენტეხის, რცხმელურის, ხელედის, ჩოლურის, ჟახუნდერის თემებში, სოფელ ცანასა და სკმედში დასრულდა სასმელი წყლის მაგისტრალებისა და სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია. ჩვენი ძალეებით, ჩიხარემის, ცხმელურის, ხოფურისა და ცხმელურის თემში მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის დაცვის მიზნით განვახორციელეთ ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა. რაც შეეხება ჟახუნდერის, ჩოლურის და ჩიხარემის თემებს, აქ მოხდა კაპიტალური სანიაღვრე არხების ჩაწყობა, ხიდების და საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. ხოლო, სოფელ ჩუკულის მთავარანგელოზის ეკლესიის დაცვის მიზნით ნაპირსამაგრი ჯებირის გამაგრება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით შევიძინეთ მინი-ტრაქტორები, ჩავატარეთ სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია, სარიტუალო სახლების, მინერალური წყლების კეთილმოწყობა და მინი-ჰესის მიწების საყრდენი სვეტების სამშენებლო სამუშაოები. სოფელ ხოფურში და ცხმელურში გაკეთდა მინი-სტადიონები, კეთილმოეწყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიები და ადმინისტრაციული შენობების ეზოები, ლენტეხის თემში ექსპლუატაციაში შევიდა საკანალიზაციო სისტემა, ხოლო ბავარის ხეობის მოსახლეობას, რომელსაც 30 წლის განმავლობაში ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა,



უახლოეს მომავალში ეს პრობლემა აღარ შეაწუხებს. ამასთან ერთად, გათვალისწინებული იქნა მოსახლეობის მოთხოვნა - ლენტეხში აშენდა საზოგადოებრივი ცენტრი და დაიწყო უახლესი ევროპული ტიპის საავადმყოფოს მშენებლობა, რაც მუნიციპალიტეტისთვის მართლაც, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

- ზოგადად ჯანდაცვისა და სოციალური კუთხით რა ვითარებაა?

- მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების კომისია შეიქმნა, რომელიც შემოსულ განცხადებებს მთელი წლის განმავლობაში განიხილავდა. 800-ზე მეტი სხვადასხვა კატეგორიის შემოსული განცხადების საფუძველზე კომისიამ ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაუწია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ხანდაზმულ, ახალშობილ, ვეტერან და მრავალშვილიან ბენეფიციარებს. გარდა ამისა, ყოველთვიური დახმარება გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მკვეთრად გამოხატული პირველი ჯგუფის ინვალიდებზე და ბავშვებიდან თანდაყოლილ ინვალიდებზე, რომლებიც დაავადებული არიან ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, ლეიკემიით და შიდსით. დამატებით, კომისია მუნიციპალიტეტის კამბეგელთან შუამდგომლობას უწევს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის პირებს, რომლებიც სასწრაფო გადაყვანას საჭიროებენ და ამისათვის მათ ოჯახებს არანაირი ფინანსური საშუალება არ გააჩნიათ. აღსანიშნავია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამა - სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებს მიეცათ საშუალება მოხვედრილიყვნენ 20 000 ლარის ფარგლებში თანადაფინანსების პროგრამაში, ხოლო რამდენიმე დევნილი ოჯახი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა.

- ტურიზმის განვითარების მხრივ რა მდგომარეობაა?

- ჩვენს რეგიონში, ისევე, როგორც მთელს ქვეყანაში, ამ დარგის განვითარებისთვის აუცილებელია მყარი ფინანსური გარანტიები, რათა მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა, გაკეთდეს შენობები, გზები, კაფე-ბარები და სასტუმროები. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ტურიზმის განვითარების ცენტრ „ლაილასთან“, რომელსაც ბატონი გია ჩანქსელიანი ხელმძღვანელობს. მათი სუბსიდირება 62000 ლარს შეადგენს და 15 თანამშრომელი საკმაოდ აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი სათანადოდ წარმოაჩინოს. მათ შეისწავლეს და გამოიკვლიეს ტურიზმის განვითარებისათვის პერსპექტიული ადგილები და საშუალებები. იმუშავეს რუკებზე, რომელიც ლენტეხის ცენტრში, ორ ადგილას, ბანერებზე განთავსდა და კარგი გზამკვლევია ტურისტებისათვის. აღწერეს და შეისწავლეს ტურისტული ობიექტები, მონაცემთა ბაზაში შეიტანეს სასტუმროები და საბანაკე ტერიტორიები. ამჟამად, დასრულებული იქნა ფაზაშია იმინდარის საბანაკე ტერიტორიის მოწყობა და დაგეგმილია მისი გაპიარება. ცენტრის ინიციატივით, მოლაშქრეთა ეროვნულ ფედერაციასთან ერთად რაჭა-სვანეთის გადასასვლელზე მოეწყო ლაშქრობა და მათი თანამშრომლები თრიალეთშიც იმყოფებოდნენ სამდღიან ტურზე.

- მუნიციპალიტეტის კულტურა



რულ და სპორტულ ცხოვრებას რაც შეეხება?

- ლენტეხის რაიონს, როგორც სპორტის, ასევე კულტურის კუთხით, დიდი რესურსი და პოტენციალი გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბიუჯეტი ძალიან მწირია, მაინც ვახერხებთ ყველა სოფელში გვყავდეს ფოლკლორული ანსამბლი, დავაფინანსოთ სპორტ-სკოლები. ამასთან ერთად, პრიორიტეტულია ფოლკლორის, ხალხური რენვის და საესტრადო მიმართულებები. სპორტში განვითარებულია თითქმის ყველა სახეობა. ხოლო წელს, ახალი საფეხურით კლუბიც ჩამოყალიბდა. სწორედ სპორტ-სკოლების და ანსამბლების სიმრავლე განაპირობებს მაღალ კონკურენციას და შესაბამისად ხარისხზეც აისახება. თანხების სიმცირის მიუხედავად, წარმატებები გვაქვს, როგორც კულტურის, ასევე სპორტის სფეროში. თითქმის ყველა ჩატარებულ ღონისძიებაში, სადაც ჩვენმა წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა, როგორც გუნდურ, ასევე პირად ჩათვლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით...

- სამომავლოდ, ჩვენი პრიორიტეტი კვლავაც დასაქმება და სოციალური საკითხები იქნება, ამის საფუძველს მთავრობის თანადგომა ვგაძლევს. 2016 წლისთვის პროექტების დაფინანსება 3 მლნ-მდე გაიზრდება. შესაბამისად, მიმდინარე პროექტებს ზამთრამდე დავასრულებთ, გაზაფხულის დასაწყისში კი იმ საქმიანობის განხორციელებას შევედგებით, რომელიც წლებია, ვერ მოგვარდა. მათ შორისაა გზების, წყალსადენების, ხიდების და სანიაღვრე არხების კეთილმოწყობა. დავასრულებთ ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობას, რომლის ასაშენებლად რეგიონალური განვითარების ფონდიდან 400 000 ლარი გამოიყოფა. ცენტრს მრავალმხრივი დატვირთვა ექნება და მასში ქორწინების სახლი, ტურიზმის განყოფილება და საკონფერენციო თუ საბანკეტო დარბაზები განთავსდება. დარწმუნებული ვარ, თუ აღმშენებლობას ამ ტემპით გავაგრძელებთ, მიგრაცია შეწყდება და აქედან წასულ მოსახლეობასაც უკან დაბრუნების სურვილი გაუჩნდება. დასასრულს კი, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, რადგან ლენტეხის რაიონს მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი მიანიჭა, რაც უამრავ ეკონომიკურ და სოციალურ შეღავათებს ითვალისწინებს და თავისთავად აისახება ჩვენი რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობაზე.





სოფლის განვითარებულ ქვეყნებში, ძირეული პრობლემების მოწესრიგებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების - მექანიზმების ძიება და მათი შემდგომი სრულყოფა, რაც სამომავლოდ შესაძლებელს გახდის გამოვლენილ იქნას სახელმწიფოს სრული პოტენციალი. რაც შეეხება საქართველოს, სამწუხაროდ, მისი თანამიმდევრული განვითარების პრობლემა, უპირველესად ტერიტორიულ ერთეულთა ინფრასტრუქტურულ არასტაბილურობასთან იყო დაკავშირებული და ამის არაერთი დადასტურებული ფაქტი არსებობს. როგორც ცნობილია, ტურიზმი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. რაჭას კი თავისი ზღაპრული სილამაზიდან გამომდინარე საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი აქვს. დღევანდელი ხელისუფლება ინტენსიურად მუშაობს ეფექტურად გამოიყენოს რაჭის ბუნებრივი გარემო - ლამაზი ხედები, ჯანსაღი კლიმატი და თვალწარმტაცია მთები, რაც საუცხოო პირობაა საკურორტო მეურნეობისა და ტურიზ-

პასუხისმგებლობას სკამზე ჯდომით ვერ ისწავლი

მის განვითარებისათვის. ონის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **გიორგი ლოგჯანიძეს** მიაჩნია, რომ რაჭის ბუნებრივი თვითმყოფადობა, სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, უახლოეს ხანში, რაიონის კეთილდღეობის საწინდარი გახდება.

- ბატონო გიორგი, რა სახსრები მუნიციპალიტეტში?
 - საბედნიეროდ, უკანასკნელი წლების განმავლობაში, სიტუაცია უკეთესობისაკენ რეალურად და თვალსაჩინოდ არის მეცვლილი. მხოლოდ 2015 წელს, ონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მიმდინარე წელს პრიორიტეტებად საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყალ-კანალიზაციის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები იყო განსაზღვრული. მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულ კონკრეტულ ობიექტზე შესაბამის სამ-

სახურთან ერთად თავად მივიღიოდი და პროცესებს პირადად ვაკონტროლებდი. წარმატებით დავამთავრეთ ქალაქ ონის ქუჩების ასფალტირება, სოფლების-ბარის, სევის, პიპილეთის, შეუბანი-ლაჩის, ჭიორის, სორის, საკაო-ლაგვანია-მაჟიეთის გზების რეაბილიტაცია, დასრულებულია სოფელ დიდი ღებისა და სოფელ კვამხიეთის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც პროექტ NEO - ს ფარგლებში განხორციელდა. ქ. ონში, ღარში, პიპილეთში, ნაკიეთში, ღებში, უწერასა და კიდეც რამოდენიმე სოფელში ჩატარდა სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოები, სოფელ ჯინჭვისში მოეწყო ხიდი და ნაპირსამაგრი კედელი. აქტიური თანამშრომლობა დავინწყეთ წყალმომარაგების კომპანიასთან, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის პრობლემების მნიშვნელოვნად მოგვარებას. ენერგეტიკის სამინისტროსთან მჭიდრო კავშირის შედეგად თვენახევარში დავასრულეთ ბუნებრივი აირის 15 კმ-იანი ცენტრალური მაგისტრალი და მიმდინარეობს ქ. ონისა და 5 სოფლის(ხურუთი, ნიგვზნარა, ლაჩია, შეუბანი, ღარი) დაქსელვითი სამუშაოები. ამჟამად სოფლებში: გლოლაში, ღარში, ცხმორსა და შქმერში აქტიურად მიმდინარეობს სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის საერთო ღირებულება 450 000 ლარზე მეტია. გარდა ამისა, ონში დასრულდა მუნიციპალური ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის სამუშაოები. აღნიშნული პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა, მისმა საერთო ღირებულებამ დაახლოებით 164 957 ლარი შეადგინა და განახლებული ნაგავსაყრელი, როგორც ონს, ასევე მის მიმდებარე სოფლებს მოემსახურება.



- წელს მნიშვნელოვნად დაგაზარალათ სტიქიამ ...
 - იანვარსა და აგვისტოში მართლაც მოგვიწია ბუნებრივი სტიქიასთან გამკლავებამ. ონის მუნიციპალიტეტში მოსულმა განსაკუთრებით უხვმა ნალექმა და უჩვეულოდ ძლიერმა ქარმა საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა, როგორც ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, ასევე კერძო მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ სახლებს. ძალიან დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდა მდინარეების: ლათქიმორის, ბდღვიორას, მუშუანისა და სომფერულას კალაპოტების მიმდებარე სოფლების მოსახლეობა. მოვარდნილმა ღვარცოფმა მთლიანად შეავსო ზემოაღნიშნული მდინარეების კალაპოტები და განსაკუთრებული

საფრთხე შეუქმნა მოსახლეობის, როგორც საცხოვრებელ სახლებს, ასევე საკარმიდამო ნაკვეთებს. მინდა აღვნიშნო, რომ პრემიერ-მინისტრის უშუალო დავალებით და კანცელარიის თვითმმართველი ერთეულების ურთიერთობის დეპარტამენტის კოორდინაციით დროულად განახორციელდა სტიქიით მიყენებული ზარალის აღდგენითი სამუშაოები და საჭირო დახმარება აღმოუჩინეს დაზარალებულებს. აღსანიშნავია, რომ მოენყო მდ. მუშუანის ბეტონის ნაპირ-სამაგრი, მოხდა მდ. რიონის მარცხენა სანაპიროს დაცვა(დამბით და ლოდნარით) და სრულად გაინმინდა მდ. სომფერულას კალაპოტი.

- სოციალური და ჯანდაცვის კუთხით რა ვითარებაა რაიონში?

- ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტში არსებულ საერთო სოციალურ ფონს. ორიენტაცია ისეთ სეგმენტებზე ავიღეთ, სადაც მოსახლეობის დახმარება გაცილებით ეფექტური იქნება. კატეგორიულად ვანანილებთ და შეძლებისდაგვარად ვაფინანსებთ სტიქიით დაზარალებულ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს. სამუშ-

- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

- კარგად მოგეხსენებათ, თუ რაოდენ რთული ვითარებაა დემოგრაფიული კუთხით მთლიანად საქართველოს მთიანეთში. ამას შობადობის დაბალი, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები და რეგიონიდან მიგრაცია განაპირობებს. ეს მონაცემები რაჭაში განსაკუთრებით მაღალია. სწორედ ამიტომ, სამომავლოდ ვაპირებთ ნავახალისოთ კერძო სექტორი, გავაგრძელოთ ინვესტიციების მოზიდვა და თანამედროვე ინფრასტრუქტურა ჩამოვაყალიბოთ, რაც საბოლოოდ დადებითად იმოქმედებს ჩვენი კუთხის კეთილდღეობაზე და ხალხის ადგილებზე დამაგრებას შეუწყობს ხელს. 2016 წლიდან მუნიციპალიტეტში გზების კაპიტალური მოწესრიგება დაიწყება და ვაპირებთ ასფალტო-ბეტონის საფარით დაფაროთ ზუღალი-შქმერის 16 კმ-იანი მონაკვეთი. აღნიშნული გზა დააკავშირებს მუნიციპალიტეტის 9 სოფელს (ცნობისათვის ერთ-ერთ სოფელში, ჯოისუბანში არსებობს IV საუკუნის ადრექრისტიანული ეკლესიის ნანგრევები „მცხეთა“), ამასთან ერთად, ხელი შეეწყობა სოფელ შქმერში ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტების მოწყობას. ასევე ამბროლაურის მუნიციპალიტეტთან ერთად დაგეგმილია სოფელ მუხტიდან მრავალძლის ეკლესიამდე მისახლელი გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა. სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების მონდომებით და თიბისი ბანკის ფინანსური მხარდაჭერით შემუშავდა პროექტი და უახლოეს პერიოდში ქალაქ ონში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი მუზეუმი აშენდება. მუზეუმში დაცული უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, პალეონტოლოგიური, ზოოლოგიური და ეთნოგრაფიული 16 000 ექსპონატი ახალ შენობაში გადავა, სადაც ყველა პირობა იქნება დაცული უნიკალური მასალის შესანახად და მოსაფლად. 2016-2017 წლებში დაგეგმილია ადგილობრივი ახალგაზრდობისათვის ახალი ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა (მედიათეკა). აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ მომავალი წლისათვის ონში იუსტიციის ახალი სახლი გაიხსნება, რომლისთვისაც 1700 კვადრატული მეტრის ნაკვეთი შეიძინა და ის შოვისკენ მიმავალ გზას დაამშვენებს. მომხმარებელს საშუალება ექნება, ერთ სივრცეში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მიიღოს 400-მდე მომსახურება. მშენებლობა 9 თვეში დასრულდება და მისი აშენების გადამწყვეტილება იუსტიციის მინისტრის, ქალბატონი თეა წულუკიანის ჩვენთან სტუმრობის დროს იქნა მიღებული. ვფიქრობ ასეთი სასიკეთო საქმეები მნიშვნელოვნად წაადგება ჩვენს მოსახლეობას და კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას სამომავლო წარმატების მისაღწევად. ადამიანი პასუხისმგებლობას სკამზე ჯდომით ვერ ისწავროს. რამდენად და როგორ ვართმევთ თავს დაკისრებულ ამოცანებს ამას დრო შეაფასებს, მანამდე კი, ჩემი ულამაზესი კუთხე - რაჭა უნდა შევინახოთ და გადავარჩინოთ.

აროდ, მუნიციპალური საავადმყოფო და პოლიკლინიკა ჯერჯერობით სრულყოფილად ვერ გახლავთ გამართული და ამ მიმართულებით კონკრეტულ სამინისტროებთან ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენი ძალისხმევით შედეგად, საერთო პირობები ბევრად გაუმჯობესდა. კლინიკას დაემატა ქირურგიული განყოფილება და ოპერაციების კაკეთების საშუალება ადგილზევე შესაძლებელი. შევიძინეთ საჭირო ინსტრუმენტები და აპარატურა. ვცდილობთ მოვიზიდოთ პროფესიონალი კადრები და მათ განვითარების რეალური შესაძლებლობა მივცეთ.

- ტურიზმის განვითარების მხრივ რა მდგომარეობაა?

- საბედნიეროდ, ჩვენი მხარის პოტენციალი საშუალებას იძლევა წარმატებით განვითარდეს ტურიზმის სხვადასხვა სახეობა. მუნიციპალიტეტს გააჩნია მნიშვნელოვანი კურორტები , სადაც სამკურნალო წყალი მოიპოვება. როგორც ცნობილია, 2016 წლიდან ამოქმედდება კანონი „მაღალმთიანი რეგიონების შესახებ“. მასში მთელი რიგი შეღავათებია გათვალისწინებული, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა ისარგებლებს და ეს კიდევ უფრო დაეხმარება ტურიზმის დარგის წარმატებით განვითარებას. ჩემი აზრით, პირველ რიგში აუცილებელია საკურორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა და ამასთან დაკავშირებით აქტიური სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. დაგეგმილია უნერა-შოვის მიმართულებით 15 კმ-იანი გზის მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია, ხოლო პროექტი „უნერა-მდგრადი განვითარების სოფელი“, ადგილზე საოჯახო სასტუმროების განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს. შესაბამისად, სამომავლოდ კიდევ უფრო მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, შეიქმნება ინვესტიციების მოზიდვისთვის მიმზიდველი პირობები და ეს უნიკალური ადგილები კვლავ მოემსახურება დამსვენებელს არამარტო საქართველოდან , არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან.





ემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობისათვის, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს რეგიონების ეფექტიანი მართვის განხორციელება და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მათთვის ხარისხიანი მომსახურების განევა. კონკრეტული პრიორიტეტები ხელისუფლების ისეთი ადგილობრივი ორგანოების არსებობას გულისხმობს, რომლებსაც ფართო ავტონომია გააჩნიათ და მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებს დამოუკიდებლად აგვარებენ. საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრება და გზით მოსარგებლეთა საჭიროებების ეფექტური დაკმაყოფილება, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი ორგანოების პრეეროგატივას წარმოადგენს. აჭარის რეგიონში, ამ უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო კუთხეში, ფრიად მნიშვნელოვანია საავტომობილო გზების უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება, ინფრასტრუქტურის რაციონალური მართვა და ადმინისტრირების გაუმჯობესება. ამისათვის საჭიროა მკაცრად შესრულდეს რამოდენიმე ამოცანა – უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდეს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სტრატეგიის შემუშავება, დაიგეგმოს, როგორც გრძელვადიანი პროგრამები, პერსპექტიული და პრიორ-

გავაბრძობთ დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულებას

იტეტული მიმართულებები, ასევე გზებისა თუ სამელიორაციო სისტემების შეკეთების, რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის დეტალები. თანამშრომლებს უნდა შეექმნათ სათანადო სამუშაო პირობები, დროულად განხორციელდეს ტექნიკური საშუალებებით მათი უზრუნველყოფა და მუნიციპალიტეტებში არსებული ყველა მატერიალური რესურსის აღრიცხვის, მოვლა-შენახვის და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები. რეგიონში ამ მართლაც საპასუხისმგებლო საქმეს, აჭარის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი უძღვება, რომლის ხელმძღვანელი, ბატონი **გიორგი რომანაძე**, ჩვეული გულწრფელობით გაგვესაუბრა ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, მიღწევებსა და წარმატებებზე...



- ბატონო გიორგი, რა სახელება თქვენს დეპარტამენტში?

- შიდა გადაზიდვების, ტურიზმის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანია შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათი საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და სანგრძლივი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად მოვლა-შენახვის სამუშაოების სწორი დაგეგმარება. ამ მიმართულებით ჩვენი დეპარტამენტი მართლაც მნიშვნელოვან და სტრატეგიულ პროექტებს ახორციელებს. 2015 წლის დასაწყისიდან, დროულად გავიცხადეთ ტენდერები და დაიწყეთ ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ამ ეტაპზე პროექტების 80% უკვე დასრულებულია.

- უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ...

- რეგიონში წარმატებით განვახორციელეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს მოენყო 20 კმ. სიგრძის ასფალტო-ბეტონის საფარი, მათ შორის ქობულეთი-ჭახათი-ცხემლვანას საავტომობილო გზაზე, სადაც შავი საფარი არასდროს დაგებულა, წელს განხორციელდა 4,3 კმ. სიგრძეზე ასფალტო-ბეტონის მოწყობის სამუშაოები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს განხორციელდა 11 კმ. სიგრძის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტში 8.5 კმ. რაც შეეხება შუახევის მუნიციპალიტეტს, შუახევი-ურნაშის 3.5კმ-ზე და კვიახიძეების გზის 3.6 კმ-ზე მოენყო ასფალტო-ბეტონის საფარი, ხოლო შუახევი-თერნალის საავტომობილო გზის 1.8 კმ-ზე, სადაც ასფალტო-ბეტონის საფარი არ დაგებულა,



დასასრულს უახლოვდება მისი მოწყობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები. ხულოს მუნიციპალიტეტში, დიდაჭარა ღორჯომის საავტომობილო გზაზე მოენყო 4 კმ. სიგრძის ასფალტო-ბეტონის საფარი, ასევე ხულო-ურნო-კურცხანლის გზის 5 კმ. სიგრძის მონაკვეთზე ამჟამად მიმდინარეობს გზის სარე-

აბილიტაციო სამუშაოები. სულ მიმდინარე ნელს მოხდება 61 კმ. სიგრძის შავი საფარის დაგება. გარდა ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებისა, გზას ასევე ესაჭიროება საყრდენი კედლებისა და ხიდების მოწყობა, რასაც დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს. მიმდინარე ნელს დაიგეგმა და წარმატებით ხორციელდება 177 ერთეული საყრდენი კედლის და ხიდის მშენებლობა-მოწყობა. მაგალითად: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კირნათის გზა-მირვეთის მონაკვეთზე არსებულ ხიდს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რომლის სიგრძე 129 მ. ხოლო სიგანე 2,5 მეტრია. ასევე, გუნდაური-გარეკუნის გზაზე მიმდინარეობს ახალი, 24 მეტრიანი ხიდის მშენებლობა რომლის სამუშაოთა 85% შესრულებულია. ქედა-მერისი-ნამონასტრევის საავტომობილო გზაზე მალე დამთავრდება დამცავი ზღუდარების მოწყობის სამუშაოები. ზღუდარების მოწყობა, ასევე მიმდინარეობს ცხმორისი-გეგელიძეების გზაზეც. მომავალში გზაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით ამ მიმართულებით ვაპირებთ ბიუჯეტის გაზრდას, რაც შეამცირებს გზებზე საგზაო შემთხვევებს.

- სამელიორაციო მიმართულებით რა ვითარებაა?

- აჭარის რეგიონში ძალზე მნიშვნელოვანია სამელიორაციო სისტემების განვითარების გრძელვადიანი პროგრამების და პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება; სისტემების შეკეთება და მათი რეაბილიტაცია. ჩვენი დეპარტამენტი ამ მიმართულებითაც წარმატებით ახორციელებს დაგეგმილ პროექტებს. აქტიურად მიმდინარეობს არხების მოვლა-შენახვის, შეკეთების და რეკონსტრუქციის სამუშაოები. მაგალითად მიმდინარე ნელს 7 არხს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რომელთა საერთო სიგრძე 84კმ.-ია. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ამ არხების მეშვეობით ხდება სასოფლო სავარგულების მორწყვა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. მელიორაციის მიმართულებით 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 300.000 ლარი

- ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომელთა პროფესიონალიზმი...

- ამ ეტაპზე, დეპარტამენტი 47 საჯარო მოხელე, 5 დამხმარე და 398 შტატგარეშე მოსამსახურე (რომლებიც გზების მოვლა-შენახვის ქვეპროგრამის ფარგლებში გვყავს აყვანილი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე). ყველა მათგანი სანდო, გამოცდილი პროფესიონალი კადრია. ამიტომაც მომავალ ნელს ვაპირებთ შტატგარეშე მოსამსახურეების სახელფასო ფონდის გადახედვას იმისათვის, რომ მიიღონ გაზრდილი შრომის ანაზღაურება. თანამშრომლების მიმართ მუდმივად ვახდენთ მოტივაციის ამაღლებას და განსაკუთრებული სამუშაოების შესრულების დროს მათ ნახალისებას. სამომავლოდ ვეგეგმავთ კადრების გადაზადებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დაგეგმილი პროექტების წარმატებით შესრულებას. ამის პარალელურად მუდმივად ვახორციელებთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას. გასული წლების ბიუჯეტში გათვალისწინებული გეგმონდა ახალი ტექნიკის შეძენის თანხები, რის გამოც დღეის მდგომარეობით 80 ერთეული ტექნიკა დაგროვდა დეპარტამენტის ბაზანსზე. მიმდინარე ნელს დაგეგმეთ 8 ერთეული ახალი მძიმე ტექნიკის შეძენა, რომელთაგან 7 ერთეული უკვე შეძენილია, ხოლო 1 ერთეულზე გამოცხადდება ტენდერი და წლის ბოლომდე მოხდება მისი მონოდება.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- ჩვენი დეპარტამენტი კვლავ გააძლიერებს მასზე დასახული მიზნების წარმატებით შესრულებას. 2016 წლისთვის დეპარტამენტის მიერ იგეგმება ბიუჯეტის დაახლოებით 36 მილიონამდე გაზრდა. ეს საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ საქმიანობა და განვახორციელოთ ახალი პროექტები. 2016 წელს მოასფალტდება 90 კილომეტრამდე გზა, მოენწყობა 150 ერთეული ხერლოვანური ნაგებობა, გაორმაგდება ბეტონის საფარის მოწყობის თანხები, მილიონი ლარი გამოიყოფა ახალი ტექნიკის შესასყიდად და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 92კმ. სიგრძის 22 სამელიორაციო არხს.



ამბროლაურგზა-7

საგზაო-სამშენებლო კომპანია „ამბროლაურგზა-7“ 1937 წელს, გამოცდილი სპეციალისტების მიერ არის დაარსებული და იქიდან მოყოლებული მუდმივად ვითარდება.

შპს „ამბროლაურგზა-7“-ს ბატონი დავით მიქიაშვილი უკვე 4 წელიწადია ხელმძღვანელობს და კომპანიის ძირითად საქმიანობას გზების და ხიდების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, მათი ექსპლუატაციისთვის მომზადება და ინერტული თუ სამშებლო მასალების წარმოება-რეალიზაცია წარმოადგენს.

დღეისათვის კომპანიას გააჩნია, საკუთარი ბაზები ამბროლაურის რაიონში, საჭირო საგზაო მანქანა-მექანიზმები, მშენებლობისთვის შესაბამისი აღჭურვილობით და ასფალტის საწარმოო-გადამამუშავებელი ქარხანა.

საგზაო-სამშენებლო სფეროში კომპანიის დიდ გამოცდილებაზე მის მიერ პირნათლად ჩაბარებული ობიექტების ჩამონათვალი მეტყველებს. თავისი არსებობის მანძილზე შპს „ამბროლაურგზა-7“-მა მართლაც მნიშვნელოვანი მოცულობის საგზაო-სამშენებლო პროექტები შეასრულა და მზადაა სამუშაოები უგზობის, დასახლებული პუნქტების არარსებობის პირობებში და ძნელად მისაღწომ ადგილებში აწარმოოს.

ობიექტების მშენებლობის პროცესში კომპანია თანამედროვე მასალებსა და ტექნოლოგიებს იყენებს. სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობა და მაღალი ხარისხი კომპანიის საქმიანობის ძირითადი მახასიათებელია, ხოლო ნდობა -წარმატების მთავარი საწინდარი. კომპანიის დიდი პასუხისმგებლობა შესაძლებლობას იძლევა ყოველთვის იყოს დაცული მშენებლობის ვადები და შესრულების პირობები.

შპს „ამბროლაურგზა-7“ ათეულობით თანამშრომელს აერთიანებს და მათი პროფესიონალიზმის შედეგია ის, რომ პროექტების ჩაბარება დროულად, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში ხდება. კომპანია მუდმივად ღებულობს მონაწილეობას ტენდერებში და შეკვეთას ყოველთვის პირნათლად ასრულებს.

კომპანია „ამბროლაურგზა-7“ ასრულებს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაკვეთებს



პერს უაინი



მ.თიბოძე, თბილისი რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 2
5-8 სართულიანი სასტუმრო-აპარტო სახლი
სართლი საარქიტექტო ბიუროს დაკვეთით (2013-2014) - 2300
ფართობი: 10 000 კვ.მ. აპროექტირებული-2000 კვ.მ.
შენიშვნა: (2013-2014) მისანი 50 კვ.მ - 500

გამომწვევი რეალტი
 ბათუმი, შ. ნიშთიაშვილის ქ. №1
+995 557 100 100
 Mob: **+995 557 500 500**

გამომწვევი რეალტი
 თბილისი, თბილისის რაიონი, ქ. №21
+995 599 525 525
 Mob: **+995 599 522 522**
 welcome@gumbatigroup.ge
 www.gumbatigroup.ge



მშენებლობა და ბანკინგის სერვისები

სუბტროპიკსიტი

მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი



მშენებლობა და ბანკინგის სერვისები

WWW.SUBTROPICITY.GE



1 SHEAIF KHMISHVILI STREET, BATUMI
 MOB: + 995 557 500 500 + 995 557 100 100
 Info@subtropiccity.ge



კანონის დათბუნების სისტემა

თბილისი-დასავსი.
მედიანი.

